

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სადისციპლინო ორგანოებში საქმეთა განხილვის პრაქტიკის განზოგადება¹

#	სადისციპლინო ორგანოს დასახელება	გადაწყვეტილების მიღების თარიღი	გადაცდომის ჩადენის ადგილი მოსამართლე	დისციპლინური წარმოების დაწყების საზამბო	საქმის კატეგორია	დარღვევის ფაბულა	ეპიზოდების რაოდენობა	დარღვეული კანონის ნორმა	გადაცდომის სახე	სახდელის სახე
1	ულიანოვსკის სამხარეო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2006 წლის 30 მარტი	ულიანოვსკის მხარე, კუზოვატოვსკის რაიონის მოსამართლე	ულიანოვსკის სამხარეო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სისხლი	მოსამართლემ არასრულწლოვანის მიმართ განაჩენი გამოიტანა სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, რაც გამოიხატა არასრულწლოვანი პირისათვის მსჯავრის დადებაში სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ² მოსამართლემ არასრულწლოვან პირს აღკვეთის ღონისძიების სახით უკანონოდ შეუფარდა პატიმრობა ³	2	რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 20-ე მუხლის 2-ე ნაწილი ⁴ სსსკ-ის 108-ე მუხლის 2-ე ნაწილი ⁵	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გაფრთხილება (კოლეგიამ გაითვალისწინა მოსამართლის აღიარება, მისი გამოუცდელობა) ⁶
2	ულიანოვსკის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2013 წლის 27 მარტი	ულიანოვსკის ოლქის ინჟენსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე	ულიანოვსკის ოლქის მოსამართლეთა სამჭოს მიმართვა	სისხლი	მოსამართლემ მსჯავრდებულ პირის მიმართ დაადგინა ორი სხვადასხვა შინაარსის გამამტყუნებელი განაჩენი ⁷	1	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 3-ე და 8-ე მუხლები ⁸	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გაფრთხილება (კოლეგიამ გაითვალისწინა მოსამართლის 28 წლიანი მოღვაწეობა, ის წლიანი მოღვაწეობა, ის გარემოება, რომ არასოდეს არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხასიათდება დადებითად, საქმეთა განხილვის მაჩვენებლის მიხედვით ხასიათდებოდა გადატვირთულობით, ასევე, მის მიერ გამოტანილი განაჩენების გაუქმების პროცენტი იყო საშუალო მაჩვენებელზე ქვემოთ, ასევე, გათვალისწინებული იქნა ჩადენილი ქმედების სიმძიმე და დამდგარი შედეგი, მოსამართლის კრიტიკული დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისადმი)
3	მოსკოვის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2006 წლის 26 მაისი	ბალაშიხინის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	მოსკოვის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სამოქალაქო	საქმის განხილვის გაკვირვება ⁹	1	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 3-ე მუხლის 1 ნაწილი და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის 4-ე მუხლი ¹⁰	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გაფრთხილება ¹¹ კოლეგიამ გაითვალისწინა მოსამართლის ხანგრძლივი სტაჟი, ის, რომ არასდროს ყოფილა დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემული, ასევე, ჩადენილი ქმედების სიმძიმე და ხარისხი

¹ შედგენილია და ითარგმნა სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე წევრის ქეთევან ბექაურის მიერ.

² მოსამართლემ უკანონოდ დასდო მსჯავრი არასრულწლოვანს მძიმე დანაშაულის ჩადენაში, მაშინ როდესაც ჩადენილი იყო საშუალო სიმძიმის დანაშაული, რომლისთვისაც კანონი არ ითვალისწინებდა 16 წელს მიუღწეველი არასრულწლოვანის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რის გამოც აღნიშნული პირი ასევე, უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა ოთხი თვის მანძილზე http://ulobsud.ru/index.php?option=com_content&task=view&id=73

³ მოსამართლემ პატიმრობა გამოიყენა არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ, საშუალო სიმძიმის დანაშაულის საქმეზე, მაშინ როდესაც კანონის თანახმად ასეთი სახის ღონისძიება გამოიყენებოდა მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების საქმეზე, რის გამოც არასრულწლოვანი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა ერთ თვეზე მეტი ვადით;

⁴ არასრულწლოვანის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი;

⁵ არასრულწლოვანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ბრალდების შემთხვევაში;

⁶ მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობდა 3 წლის მანძილზე;

⁷ კანონიერებაზე ზედამხედველი სამსახურის მიერ სისხლის სამართლის საქმეში აღმოჩნდა ორი სხვადასხვა შინაარსის განაჩენის დამოწმებული ასლები., კერძოდ პირველი განაჩენის მიხედვით პირს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლითა და რვა თვით, ხოლო მეორე განაჩენის მიხედვით - სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ასევე, განაჩენების სამოტივაციო ნაწილის შინაარსიც;

⁸ ”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 3-ე მუხლი: ” მოსამართლე თავისი პროფესიული საქმიანობისას ვალდებულია პატიოსნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი პროფესიული მოვალეობები, მკაცრად დაიცვას რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია და სხვა კანონები, თავიდან აიცილოს ყველაფერი, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტსა და მოსამართლის რეპუტაციას; ამავე კანონის 8-ე მუხლი ”მოსამართლის ფიცი”;

⁹ მოსამართლემ სამოქალაქო საქმეზე 11 ჯერ გადადო საქმის მოსმენა. მოსამართლის გადაწყვეტილება გააუქმა ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ, ვინაიდან მიღებული იყო მატერიალური და საპროცესო ნორმათა დარღვევით და საქმე დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად;

¹⁰ მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის 4-ე მუხლი: მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას თავისი მოვალეობების შესრულების პროცესში ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის აზრსა და მნიშვნელობას;

¹¹ http://www.mosobsud.ru/ss_detale.php?id=133

4	მოსკოვის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2006 წლის 12 მაისი	ნარო-ფომინსკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	მოსკოვის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	ადმინისტრაციული	მოსამართლემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილ განჩინებაში არ მიუთითა თავისი მონაცემები, არ მოაწერა ხელი და საქმე ქვემდებარეობით არსებითად განსახილველად არ გადაუგზავნა მომრიგებელ მოსამართლეს და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას ¹²	1	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 3-ე მუხლის 1 ნაწილი და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის 4-ე მუხლი	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გავრთხილება (კოლეგიამ გაითვალისწინა მოსამართლის დადებითი დახასიათება)
5	მოსკოვის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2005 წლის 28 იანვარი	კოროლეცკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	მოსკოვის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სისხლი	მოსამართლემ უხეშად დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, ¹³ კერძოდ საქმეში არ იღო სხდომის ოქმი, პროცესზე არ გამოცხადდნენ განსასჯელი და მოწმეები, რამაც გამოიწვია საქმის გადადება; სხდომის ოქმზე არ იყო მოსამართლის ხელმოწერა; მოსამართლემ სხდომა გადადო განსასჯელის ავადმყოფობის მოტივით ისე, რომ საქმეში არ იღო სამედიცინო ცნობა პირის ავადმყოფობის შესახებ; მოსამართლემ სისხლის სამართლის საქმეები კანცელარიას ჩააბარა კანონით დადგენილი 30 დღიანი ვადის დარღვევით. ¹⁴	3		”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გავრთხილება
6	მოსკოვის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2005 წლის 20 მაისი	მოსკოვის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე	მოსკოვის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სამოქალაქო	მოსამართლემ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაში არსებითი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე და მიიღო ისეთი განჩინება, რითაც სააქციო საზოგადოების მმართველ ორგანოს ფაქტიურად შეუზღუდა საქმიანობის განხორციელება ¹⁵	1	რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის 90-ე მუხლისა და 91-ე მუხლის 1 ნაწილის 2-ე პუნქტი, ¹⁶ ”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 3-ე მუხლი და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის 1, 4-ე და 7-ე მუხლები	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გავრთხილება
7	მოსკოვის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2005 წლის 22 აპრილი	პოდოლსკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	მოსკოვის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება ¹⁷	სისხლი	მოსამართლემ განსასჯელს ალკვითის ღონისძიება პატიმრობა შეუცვალა გაუსვლელობის ხელწერილით, განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების გარეშე; მოსამართლემ საქმეზე მტკიცებულება დაუერთო სამედიცინო ცნობები, რომლებიც წარმოადგინეს არა პროცესში მონაწილე მხარეებმა, არამედ უცხო პირებმა; საქმის განხილვის გაჭიანურება; ¹⁸ მოწმეთა იძულებითი მოყვანის შესახებ დადგენილების მიღება საპროცესო ნორმათა დარღვევით; ¹⁹ კანცელარიაში საქმის დაგვიანებით ჩაბარება ²⁰ მოსამართლემ სამედიცინო ექსპერტის დანიშვნის გამო გადადო სხდომა, რაც არ არის გათვალისწინებული საპროცესო კანონმდებლობით	3	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 12-1 მუხლი რფ-ს სსსკ-ის 125-ე მუხლი ²¹ რფ-ს სსსკ-ის 253-ე მუხლის პირველი ნაწილი ²²	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ²³ 3-ე საკვალიფიკაციო კლასის ჩამორთმევა; (კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ჩადენილი ქმედების სიმძიმე, სისხლის სამართლის პროცესულური ნორმების არერთგზისი, უხეში დარღვევა, რასაც შედეგად მოჰყვა მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღავანა - საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლების დარღვევა)

¹² საქმე ეხებოდა არასრულწლოვანისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის, მამის მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემას;

¹³ რასაც შედეგად მოჰყვა საქმის განხილვის გაჭიანურება, პროცესის მონაწილეთა უფლების დარღვევა -სასამართლოში საქმის გონივრულ ვადაში განხილვის, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და აღსრულების შესახებ;

¹⁴ ლაპარაკია იმ მსჯავრდებულთა საქმეებზე, რომელთაც სასჯელის სახით განესაზღვრათ თავისუფლოების აღკვეთა, მოსამართლემ ამ მსჯავრდებულთა საქმეები კანცელარიას ჩააბარა 55-ე დღეს;

¹⁵ მოსამართლის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გაუქმებულ იქნა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ, ვინაიდან როგორც გაირკვა, მოსარჩელები არასოდეს არ ყოფილან სააქციო საზოგადოების წევრები;

¹⁶ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მისმა მიუღებლობამ შეიძლება გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება; უზრუნველყოფის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს სარჩელის მოთხოვნებს, ანუ უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს დავის საგანს, უნდა იყოს მოთხოვნის პროპორციული; უზრუნველყოფის ღონისძიებამ არ უნდა გახადოს ფაქტიურად შეუძლებელი სააქციო საზოგადოების მიერ თავისი საქმიანობის განხორციელება ან არსებითად განხორციელება;

¹⁷ აღნიშნული წარდგინების საბაზი გახდა მოსამართლის მიერ არაერთგზისი სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უხეში დარღვევა იმ საქმეებზე, რომელთა განხილვასაც იგი თავმჯდომარეობდა;

¹⁸ მოსამართლემ ოთხჯერ გადადო სხდომა ხანგრძლივი ვადით, რასაც მოჰყვა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება;

¹⁹ მოსამართლეს გადაწყვეტილება მოწმეთა იძულებითი მოყვანის შესახებ გამოჰქონდა ან სასამართლო სხდომის გარეშე ან სათათბირო ოთახში გაუსვლელოდ;

²⁰ მოსამართლემ განაჩენის გამოტანიდან ორი თვის შემდეგ ჩააბარა სისხლის სამართლის საქმე კანცელარიას, რისთვისაც კანონით დადგენილია მინიმალური ვადები. აღნიშნულით შეილახა მსჯავრდებულისა და დაცვის ინტერესები საკასაციო ინსტანციაში განაჩენის გასაჩივრების შესახებ;

²¹ სასამართლოში საქმის განხილვის მინიმალური ვადები;

²² მოსამართლემ უსაფუძვლოდ გადადო სხდომა ერთი თვის ვადით და არ დაკითხა სხდომაზე გამოცხადებული ერთერთი დაზარალებული და რამდენიმე მოწმე;

²³ მოსამართლემ უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან ერთად ასევე, ჩამოერთვა მესამე საკვალიფიკაციო კლასი; აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგიამ მხედველობაში მიიღო: ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის არაერთგზისი უხეში დარღვევა, რასაც შედეგად მოჰყვა მოქალაქეების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დარღვევა გონივრულ ვადაში მართლმსაჯულების განხორციელებაზე;

8	კამჩატკის სამხარეო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2014 წლის 28 მარტი	კამჩატკის მხარის № 19 სასამართლო უზნის მაგისტრი მოსამართლე	კამჩატკის სამხარეო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	ადმინისტრაციული	მოსამართლემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოიტანა ორი სხვადასხვა შინაარსის გადაწყვეტილება, რომელიც გაეგზავნა დაზარალებულს ²⁴	1	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 3-ე მუხლი, მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის 4,6 და 11-ე მუხლები ²⁵	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გაფრთხილება
9	მოსკოვის საოლქო სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგია	2010 წლის 2 ივლისი	მოსკოვის ოლქის ოდინოვსკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება ²⁶	სისხლი	მოსამართლემ განზრახ, უხეზად დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რაც გამოიხატა მასში, რომ ბრალდებულ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა, რაც დასტურდებოდა სათანადო სამედიცინო დოკუმენტაციით; მოსამართლემ ასევე, უსაფუძვლოდ გაუფრქველა პირს საპატიმრო ვადა და უარი თქვა პროკურატურის შუამდგომლობაზე ბრალდებულის ავადმყოფობის გამო პატიმრობის შეცვლაზე გირაოს ღონისძიებით ²⁷	1	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 3-ე და 8-ე მუხლები ²⁸ მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის 4-ე მუხლი ²⁹	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ³⁰ 5-ე საკვალიფიკაციო კლასის ჩამორთმევა შენიშვნა: (მოსამართლე ორჯერ არ გამოცხადდა კოლეგიის სხდომაზე, არ მისცა არანაირი განმარტება მომხდარის ირგვლივ;)
10	ულიანოვსკის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2013 წლის 27 მარტი	ულიანოვსკის ოლქის ინზენსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე	ულიანოვსკის ოლქის მოსამართლეთა საბჭოს მიმართვა	სისხლი	მოსამართლემ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარს დაურთო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის დადგენილება ³¹	1	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 3-ე და 8-ე მუხლები ³²	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გაფრთხილება ³³
11	ლენინგრადის ოლქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2014 წლის 24 სექტემბერი	ლენინგრადის ოლქის ტოსნენსკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	ლენინგრადის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სისხლი	მოსამართლემ სისხლის სამართლის კოდექსში შესულ ცვლილებასთან დაკავშირებით მსჯავრდებულის შუამდგომლობის განხილვისას დაუშვა სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეზი დარღვევა, რაც გამოიხატა მასში, რომ მსჯავრდებულს უკანონოდ შეუცვალა განაჩენი და მკაცრი რეჟიმის სასჯელის მოხდის დაწესებულების ნაცვლად შეუფარდა სასჯელის მოხდა სერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით. ³⁴	1	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 1, 3-ე მუხლები და ეთიკის კოდექსის 4-ე და 11 მუხლები რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 48-ე თავის, 47-ე თავის 396-ე -399-ე მუხლების და სსსკ-ის 7-ე მუხლის 4-ე ნაწილის მოთხოვნები ³⁵	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ³⁶ 7-ე საკვალიფიკაციო კლასის ჩამორთმევა (კოლეგიამ მხედველობაში მიიღო კანონის არსებითი და უხეზი დარღვევა, რაც მიუთითებს მოსამართლის მიერ თავისი პროფესიული მოვალეობების არასათანადო შესრულებაზე, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი, მსგავსი ქმედება ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს, მირს უთხრის საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების, მოსამართლის ობიექტურობისა და სამართლიანობისადმი)

²⁴ გადაწყვეტილების ორივე ასლზე იყო მოსამართლის ხელმოწერა; პირველი გადაწყვეტილებით პირი ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და დაეკისრა მართვის უფლების ჩამორთმევა ერთი წლის ვადით ხოლო მეორე გადაწყვეტილებით საქმე შეწყდა წარმოებით დარღვევის მცირე მნიშვნელობის გამო;

²⁵ ” მოსამართლე თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას თავისი მოვალეობების შესრულების პროცესში ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის აზრსა და მნიშვნელობას. მოსამართლე ვალდებულია მკაცრად დაიცვას რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია და ფედერალური კანონები, პატიოსნად და კეთილსინდისიერად მაღალ დონეზე შესრულოს თავისი პროფესიული მოვალეობები, მიიღოს ყველა ზომა საქმის დროული და კვალიფიკაციური განხილვისათვის, თავიდან აიცილოს ყველაფერი, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტსა და მოსამართლის რეპუტაციას ან ექვემდებარება მისი ობიექტურობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა”;

²⁶ თავმჯდომარის წარდგინება ეხებოდა ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო მოსამართლის პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვას, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემასა და მისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებას, კერძოდ, მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას;

²⁷ მოსამართლის უარს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე და პატიმრობის ვადის გაგრძელებას შედეგად მოჰყვა წინასწარი პატიმრობის ადგილზე ბრალდებულის გარდაცვალება ჯანმრთელობის გაუარესების გამო, რაც ცნობილი არ იყო მოსკოვის საოლქო სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგიისათვის, როდესაც კოლეგიას იმავე მოსამართლემ განცხადებით მიმართა უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე;

²⁸ მოსამართლის ფიცის დარღვევა;

²⁹ მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის 4-ე მუხლი: ”მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას თავისი მოვალეობების შესრულების პროცესში ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის აზრსა და მნიშვნელობას”;

³⁰ საკვალიფიკაციო კოლეგიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ”მოსამართლემ თავისი გულგრილი დამოკიდებულებით სხვა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი, ჩაიდინა ქმედება, რომელიც სახელს უტეხს სასამართლო ხელისუფლებას და ზიანს აყენებს რუსეთის სასამართლოს რეპუტაციას” http://www.vkks.ru/print_page.php?id=8664

³¹ პირველი დადგენილება, რომელიც საქმეში იდო, შეიცავდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის დასკვნებს მაგისტრი მოსამართლის მიერ უზნის ინსპექტორისა და კერძო ბრალმდებლის მიმართ კერძო განჩინების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერებას, ხოლო იმავე დადგენილების დამოწმებული ასლი, რომელიც დაერთო საკასაციო საჩივარს, ასეთ დასკვნებს არ შეიცავდა;

³² მოსამართლის ფიცის დარღვევა;

³³ <http://uly.vkks.ru/publication/16332/>

³⁴ მოქმედი სსსკ-ის მიხედვით კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით განაჩენის გადასინჯვის უფლება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს, რომელი მოთხოვნაც დაარღვია მოსამართლემ; გარდა აღნიშნულისა მოსამართლემ კანონის დარღვევით მიანიჭა უკუქვეითი ძალა სისხლის სამართლის კოდექსში შესულ ცვლილებას და მსჯავრდებულს უკანონოდ შეუცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია ნაკლებად მძიმე დანაშაულით (მოქმედი სსსკ-ის თანახმად მოსამართლეს დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის უფლება კანონში შესულ ცვლილებასთან დაკავშირებით ჰქონდა მხოლოდ განაჩენის დადგენისას და არა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ ეტაპზე). ასევე შეუცვალა სასჯელის მოხდის რეჟიმი; აღნიშნულის შედეგად მსჯავრდებული სასჯელისაგან განთავისუფლდა ვადაზე ადრე;

³⁵ კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით განაჩენის გადასინჯვის უფლება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ; განაჩენის კანონიერება და დასაბუთებულება;

³⁶ აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის მიერ <http://len.vkks.ru/publication/24595/>

12	ლენინგრადის ოლქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2014 წლის 20 ივნისი	ლენინგრადის ოლქის გატჩინსკის რაიონის მაგისტრი მოსამართლე	ლენინგრადის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სამოქალაქო	მოსამართლემ გამოიყენა რა თავისი სტატუსი, საგადასახადო ორგანოებიდან პირადი ინტერესებისათვის გამოითხოვა ინფორმაცია იმ პირის დავალიანების შესახებ, რომელიც არ მონაწილეობდა მის წარმოებაში არსებულ საქმეში	1	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 1,2, 3-ე მუხლები და ეთიკის კოდექსის 2-ე, 3-ე და 6-ე მუხლები ³⁷	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გაფრთხილება (კოლეგიამ გაითვალისწინა გადაცდომის ხასიათი და დარღვევის ხარისხი და სიმძიმე, მოსამართლის პიროვნული მახასიათებლები, იგი არასდროს ყოფილა დისციპლინურ პასუხისგებაში, კრიტიკულია ჩადენილი ქმედებისადმი)
13	ლენინგრადის ოლქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2014 წლის 20 ივნისი	ლენინგრადის ოლქის ვიბორგსკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	ლენინგრადის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სამოქალაქო	საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება ³⁸	1	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 1,2, 3-ე მუხლები და ეთიკის კოდექსის 1, 2-ე, 3-ე, 4-ე, 5-ე და 11-ე მუხლები ³⁹	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გაფრთხილება
14	ლენინგრადის ოლქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2014 წლის 19 თებერვალი	ლენინგრადის ოლქის ვსევოლოვსკის რაიონის მაგისტრი მოსამართლე	ლენინგრადის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	ადმინისტრაციული	მოსამართლემ უზემად დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა, რაც გამოიხატა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაში ⁴⁰	1	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 1,2- ე მუხლები და ეთიკის კოდექსის 2,4,5-ე და 11- ე მუხლები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 29.7 მუხლის 1 ნაწილი	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	საკვალიფიკაციო კოლეგიამ უარი თქვა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემაზე და შემოიფარგლა მხოლოდ ”მოსამართლისათვის მითითების მიცემით მის მიერ კანონის ნორმების დარღვევაზე” ⁴¹
15	ლენინგრადის ოლქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2014 წლის 19 თებერვალი	ლენინგრადის ოლქის ლომონოსოვის რაიონის მაგისტრი მოსამართლე	ლენინგრადის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სამოქალაქო	საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება ⁴²	1	რუსეთის კონსტიტუციის 118-120, 122- ე მუხლები ⁴³ , ”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 1,2, 3- ე მუხლები ეთიკის კოდექსის 4-ე მუხლი ევროპული კონვენციის 6-ე მუხლი და რუსეთის კონსტიტუციის 15-ე მუხლის 4-ე ნაწილი ⁴⁴	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	მოსამართლეს დისციპლინური სახდელი არ დაეკისრა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ⁴⁵
16	ლენინგრადის ოლქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2013 წლის 23 ოქტომბერი	ლენინგრადის ოლქის ვიბორგსკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	ლენინგრადის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სისხლი	მოსამართლემ სხდომის მიმდინარეობისას დაარღვია საყოველთაოდ აღიარებული მორალის პრინციპები ⁴⁶ , მოსამართლემ პროცესის მსვლელობისას არაერთხელ დაარღვია მხარეთა თანასწორობის პრინციპი, გამოხატავდა აშკარა თანაგრძნობას ბრალდებულის მიმართ, ანიჭებდა ამ უკანასკნელს აშკარა უპირატესობას, რითაც იჩენდა მიუკერძოებლობას ⁴⁷	1	ეთიკის კოდექსის 1, 2, 9 და 10-ე მუხლები ⁴⁸	მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გაფრთხილება
17	ლენინგრადის ოლქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2013 წლის 14 მარტი	ლენინგრადის ოლქის ვსევოლოვსკის საქალაქო მოსამართლე	ლენინგრადის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სამოქალაქო	მოსამართლე სისტემატორად არღვევდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას, რაც გამოიხატა მასში, რომ მოსამართლემ 72 სამოქალაქო საქმეზე კანონით დადგენილ ვადაში არ გამოიტანა მოტივირებული გადაწყვეტილება, არ გაუგზავნა მხარეებს სააპელაციო საჩივარი და თანდართული მასალები, დადგენილ ვადაში არ გადაუგზავნა ზემდგომ ინსტანციას მხარეთა სააპელაციო საჩივრები და საქმე, რითაც უსაფუძვლოდ გააჭიანურა სამოქალაქო წარმოება ⁴⁹ , მოსამართლემ სხვა საქმეზე დაარღვია განსჯადობის წესი ⁵⁰	72	რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 150-ე ⁵¹ და 423-ე ⁵² მუხლები, საპროცესო კოდექსის 199-ე, 421,422,425-ე მუხლები ⁵³	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონის დარღვევა	მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ⁵⁴

³⁷ მოსამართლემ არ უნდა გამოიყენოს თავისი სტატუსი პირადი ინტერესებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობაში;

³⁸ მოსამართლე სამოქალაქო საქმეს იხილავდა ორი წლის, ოთხი თვისა და რვა დღის განმავლობაში, მოსამართლემ რამდენჯერმე გადაიდო სხდომა ხანგრძლივი ვადით, რითაც დაარღვია მხარის უფლება საქმის გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ;

³⁹ მოსამართლის კომპეტენტურობა, კეთილხინდისიერება, კონსტიტუციისა და კანონების პატივისცემა, საქმის გონივრულ ვადაში განხილვის ვალდებულება;

⁴⁰ მოსამართლემ კანონით დადგენილ ვადაში არ განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, რასაც შედეგად მოჰყვა საქმის შეწყვეტა პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო;

⁴¹ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის მუშაობის შესახებ დებულების 28-ე მუხლის 9-ე პუნქტის თანახმად (დამტკიცებულია 22.03.2007 წ. უმაღლესი საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ), საკვალიფიკაციო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო დისციპლინური გადაცდომის ხასიათი, მისი ჩადენის მიზეზი და გარემოებები, შედეგი, მოსამართლის დამოკიდებულება ჩადენილ ქმედებასთან, დისციპლინური სახდელის არარსებობა წარსულში, დადებითი დახასიათება, აგრეთვე ის, რომ ქმედებას არ მოჰყოლია მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების არსებითი დარღვევა;

⁴² მოსამართლე სამოქალაქო საქმეს იხილავდა ორი წლისა და 13 დღის განმავლობაში;

⁴³ მოსამართლე სარგებლობს განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსით;

⁴⁴ საქმის სამართლიანი და გონივრულ ვადაში განხილვის უფლება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ;

⁴⁵ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასული იყო 2 წელი (“მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 12-ე მუხლის 6-ე ნაწილი, 2013 წლის 02 ივლისის რეაქცია);

⁴⁶ მოსამართლემ განაჩენის გამოცხადების შემდეგ მიუთითა მომხდარი ტრავმის მცირე მნიშვნელობაზე და დაზარალებულ პირს (რომლის ქალიშვილიც გარდაიცვალა ავტო-საგზაო შემთხვევას) ურჩია ეხრუნა სხვა შვილის გაჩენაზე;

⁴⁷ მოსამართლემ არაერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება დაზარალებულების უარზე, საქმე განეხილა განსაკუთრებული წესით, გამოხატავდა რა აშკარა თანაგრძნობას ბრალდებულის მიმართ, რამდენჯერმე მზრუნველობით შესთავაზა მას წყალი და მედიკამენტები, დაადგინა ღმობიერი განაჩენი იმ მოტივით, რომ ბრალდებულს ყავდა არასრულწლოვანი შვილი და ხანდაზმული მშობლები.

⁴⁸ მოსამართლემ საქმის განხილვისას უნდა დაიცვას მხარეთა თანასწორობის პრინციპი, არ უნდა მიანიჭოს უპირატესობა რომელიმე მხარეს, თავი უნდა შეიკავოს საქმეზე წინასწარი აზრის გამოხატვისაგან, საქმე განიხილოს ისე, რომ არ გაჩნდეს ეჭვი მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ, არ დაუშვას ინტერესთა კონფლიქტი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსამართლის რეპუტაციასა და სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს;

⁴⁹ მოსამართლის მიერ სამოქალაქო საქმეებზე მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო ინსტანციაში საქმის გადაგზავნის საერთო ვადა აღემატებოდა 10 თვეს; მოსამართლემ რამდენიმე საქმეზე არ გაუგზავნა სასამართლო უწყება მხარეებს, არ შეატყობინა სხდომის ჩატარების თარიღი და ადგილი;

⁵⁰ მოსამართლემ წარმოებაში მიიღო სამოქალაქო სარწმუნო ზიანის ანაზღაურების ტაობაზე და ისე დააკისრა მოპასუხეებს ხუთი მიღლიარდ ხუტახი მიღიონი მანეთი, გამოწერა საადსრულებო ფურცელი, ხოლო მოგვიანებით გამოიტანა განჩინება აღნიშნული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებაზე, მაშინ როდესაც არცერთი მოპასუხე არ იყო რეგისტრირებული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე და საქმე განსჯადობით ეკუთვნოდა სხვა სასამართლოს.

⁵¹ მოსამართლის ვალდებულება შეატყობინოს მხარეებს სხდომის თარიღისა და ადგილსამყოფელის შესახებ;

⁵² სასამართლოს განსჯადობა;

18	ლენინგრადის ოლქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2012 წლის 23 მაისი	ლენინგრადის ოლქის კიროვის რაიონის მაგისტრი მოსამართლე	ლენინგრადის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სამოქალაქო და სისხლი	მოსამართლემ ოთხ სამოქალაქო საქმეს მინაიჭა ერთი ნომერი მოსამართლე რეგულარულად არღვევდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს. საპროცესო აქტების დამზადება დადგენილი ვადის გაშვებით, საპროცესო დოკუმენტების ასლების მხარეებისათვის დადგენილ ვადაში არ გაგზავნა ცხრა სამოქალაქო საქმეში სხდომის ოქმის არარსებობა; სიხლის სამართლის საქმეებზე - მოსამართლემ არ უზრუნველყო სხდომაზე მოწმეების დასწრება, არ შეატყობინა მათ სხდომის თარიღისა და ადგილის შესახებ საქმის განხილვის ვადების გაკიანურება სისხლის სამართლის საქმეებზე ⁵⁵	15 სამოქალაქო და 4 სისხლი	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 1,2, 3-ე მუხლები ეთიკის კოდექსის 1,2 და 4-ე მუხლები რუსეთის კონსტიტუციის 46-ე მუხლის 1 ნაწილი ⁵⁶ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 14-ე თავის მოთხოვნა, საპროცესო კოდექსის 126-ე,128-ე მუხლების მოთხოვნა, საპროცესო კოდექსის 130-ე მუხლი ⁵⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 325-ე მუხლი ⁵⁸	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გაფრთხილება
19	ლენინგრადის ოლქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2013 წლის 19 ივნისი	ლენინგრადის საოლქო სასამართლოს მოსამართლე	ლენინგრადის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სამოქალაქო	დასაბუთებული განჩინებების გამოტანა ვადის დარღვევით ⁵⁹ სააპელაციო საქმეების კანცელარიაში ჩაუბარებლობა ხანგრძლივი ვადის მანძილზე;	36	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 1,2 და 3-ე მუხლები ეთიკის კოდექსის 1, 2, 4, 5, 11 მუხლები ⁶⁰ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე თავის და 199-ე მუხლის მოთხოვნა ⁶¹ 376-ე მუხლის მე-2 ნაწილი ⁶²	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გაფრთხილება ⁶³
20	რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საკვალიფიკაციო კოლეგია	2014 წლის 05 ივნისი	მეოცე საარბიტრაჟო სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე	მეოცე საარბიტრაჟო სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სამოქალაქო	მოსამართლემ 20 სამოქალაქო საქმეზე სხდომის ოქმს დადგენილ ვადაში არ მოაწერა ხელი, რამაც გამოიწვია 13 მათგანის დაგვიანებით დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოში; სააპელაციო სასამართლოში საქმე განიხილა სასამართლოს უკანონო შემადგენლობამ ⁶⁴ მოსამართლე სხდომების მსვლელობისას აკეთებდა უსაფუძვლო განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, თითქოს სასამართლოს ხელმძღვანელობა მასზე ახდენდა ზეწოლას, ჩამოართვეს საქმეები და არ აძლევდნენ მათი განხილვის შესაძლებლობას, რითაც ჩრდილს აყენებდა სასამართლოს ავტორიტეტს. მოსამართლემ ერთი კვირის მანძილზე ორჯერ დააგვიანა სამსახურში მისვლა რამდენიმე საათით, რამაც შეაფერხა სხდომების დროული დაწყება მოსამართლე სასამართლოს გარეთ მანტიაში გამოწყობილი ეწეოდა სიგარეტს ⁶⁵ მოსამართლემ რამდენიმე საქმეზე დაარღვია სასამართლო აქტების გამოტანის ვადები მოსამართლემ 5 საქმეზე უსაფუძვლოდ გადადო სხდომა ⁶⁶	26	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 1,2 და 3-ე მუხლები ეთიკის კოდექსის 1,2 3,4-ე, 5-ე, 6, 11-ე მუხლები რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის 155-ე მუხლი ⁶⁷ , ამავე კოდექსის 18-ე და რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო სასამართლოების რეგლამენტის 37-ე პუნქტი ⁶⁸ რუსეთის ფედერალური კონსტიტუციური კანონის ”სასამართლო სისტემის შესახებ” 34-ე მუხლი; ⁶⁹	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	გაფრთხილება
21	რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საკვალიფიკაციო კოლეგია	2012 წლის 14 დეკემბერი	ნარო-ფომინსკის გარნიზონის სამხედრო მოსამართლე	მოსკოვის ოლქის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სისხლი	სასამართლო განაჩენის ფალსიფიკაცია ⁷⁰	1		რუსეთის ფედერაციის კანონი ”მოსამართლის სტატუსის შესახებ”	გაფრთხილება

⁵³ მოსამართლის მიერ მოტივირებული დადგენილების გამოტანა საქმის განხილვიდან 5 დღიან ვადაში, მხარეებისთვის სააპელაციო საჩივრის ასლებისა და თანდართული მასალების წარდგენა გასაცნობად, საქმის დროული გაგზავნა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში;

⁵⁴ მოსამართლეს წარსულში ორჯერ ჰქონდა დაკისრებული დისციპლინური სახდელი - გაფრთხილების სახით;

⁵⁵ სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას სხდომების გადადება მოსამართლის ავადმყოფობის, სხდომის მდინის ავადმყოფობის, მოსამართლის სტაჟირებაზე ყოფნის, სხდომის მდინის შეეგებულებაში ყოფნის მოტივით;

⁵⁶ ყველას აქვს გარანტია დაიცვას თავისი უფლებები და თავისუფლებები სასამართლოს გზით;

⁵⁷ სააღსრულებო ფურცლის გაგზავნის წესი;

⁵⁸ საქმის განხილვის საპროცესო ვადები; ერთერთ სისხლის სამართლის საქმეზე სააპელაციო საჩივარი გაგზავნილი იქნა ორი თვის შემდეგ, ანუ ვადის დარღვევით;

⁵⁹ მოსამართლეს დასაბუთებული განჩინებები გამოჰქონდა ორი თვის დაგვიანებით;

⁶⁰ საქმის კვალიფიციური და დროული განხილვა;

⁶¹ დასაბუთებული გადაწყვეტილების შეუდგენლობა კანონით დადგენილ 5 დღიან ვადაში და კანცელარიაში ჩაუბარებლობა – 39 სამოქალაქო საქმეზე, რამაც პროცესის მონაწილეებს შეუზღუდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება კანონით დადგენილ ვადაში;

⁶² გადაწყვეტილების შემდგომი გასაჩივრების 6 თვიანი ვადა;

⁶³ იგივე მოსამართლეს თავისი მოვალეობების არასათანადოდ შესრულებისათვის ერთი წლის უკან პრემიიდან 30 პროცენტით კი ჩამოაჭრეს, მაგრამ როგორც კოლეგიის გადაწყვეტილებაშია მითითებული, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ზომა, იმისათვის, რომ მოსამართლეს სათანადო დასკვნა გამოეტანა;

⁶⁴ სხდომის თავმჯდომარემ ისე შეცვალა სხდომის შემადგენლობა, რომ აღნიშნულზე არ არსებობდა კოლეგიის ან სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება. აღნიშნული საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას;

⁶⁵ მოსამართლე აკლუნდა სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოს - მოსამართლის მანტიისადმი უპატივცემულობას;

⁶⁶ მოსამართლემ სხდომაზე განაცხადა, რომ სასამართლოს შემადგენლობა არ იყო მზად საქმის განხილვისათვის, რაც დააბრალა სასამართლოს არაორგანიზებულ მუშაობას, შიდა ტექნიკურ მიზეზებს და ა.შ. ამასთან მოსამართლე მხარეებს სთხოვდა ემუამდგომლათ სხდომის გადადების ტაობაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსამართლეს სასამართლოს ხელმძღვანელობისათვის რაიმე პრობლემის გამო არ მიუმართავს;

⁶⁷ სასამართლოს სხდომის ოქმზე ხელმოწერის ვადები;

⁶⁸ სასამართლოს შემადგენლობის შეცვლის წესი;

⁶⁹ ”მოსამართლეები მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში სხდომებს ატარებენ მოსამართლის მანტიით”;

⁷⁰ მოსამართლემ სხდომაზე გამოაცხადა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულის მიმართ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, მაგრამ საქმეში აღმოჩნდა განაჩენის ასლი მსჯავრდებულისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ;

22	ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგია	2014 წლის 19 დეკემბერი	ქ. ჩელიაბინსკის სავეტსკი რაიონის მაგისტრი მოსამართლე	ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის წარდგინება	სამოქალაქო	მოსამართლე სისტემატიურად არღვევდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს, სათანადო კონტროლს არ უწევდა სასამართლო აპარატის მუშაობას, რითაც ზიანს აყენებდა სასამართლოს ავტორიტეტს მოსამართლე სისტემატიურად არღვევდა განხილული საქმეების კანცელარიაში ჩაბარების კანონით დადგენილ ვადებს ⁷¹ მოსამართლემ მოსარჩელეს გადაწყვეტილების ასლი გადასცა 4,5 თვის გასვლის შემდეგ ⁷²	145	რაიონულ სასამართლოში საქმეთა წარმოების შესახებ ინსტრუქციის 7.9 პუნქტი ⁷³ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი ⁷⁴	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	შენიშვნა ⁷⁵ (კოლეგიამ მხედველობაში მიიღო მოსამართლის გადატვირთულობა, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გარემოებები, დარღვევის ხასიათი და სიმძიმე, შედეგი, მოსამართლის აღიარება, სტაჟი, დადებითი პიროვნული მახასიათებლები)
23	ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგია	2014 წლის 28 ნოემბერი	ქ. მაგნიტოგორსკის ორჯონიკიძის რაიონის მოსამართლე	ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის წარდგინება	სამოქალაქო	მოსამართლე სისტემატიურად არღვევდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს, სათანადო კონტროლს არ უწევდა სასამართლო აპარატის მუშაობას, რითაც ზიანს აყენებდა სასამართლოს ავტორიტეტს მოსამართლის მიერ განხილულ 25 სამოქალაქო საქმეში არ იდო 62 სხდომის ოქმი; 9 საქმეზე მოსამართლემ მოტივირებული გადაწყვეტილება გამოიტანა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით; ⁷⁶ უმრავლესობა საქმეებისა არ იყო შეკერილი და დანომრილი	100-ზე მეტი	რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე, 325-ე მუხლები ⁷⁷	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	შენიშვნა (კოლეგიამ გაითვალისწინა მოსამართლის დადებითი მახასიათებლები, კრიტიკული დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისადმი, მისი მუშაობის მაჩვენებლები)
24	ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგია	2014 წლის 31 იანვარი	ქ. მაგნიტოგორსკის ორჯონიკიძის რაიონის მაგისტრი მოსამართლე	ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის წარდგინება	--	მოსამართლემ დაარღვია შრომის დისციპლინა, სამი დღის განმავლობაში არ გამოცხადდა სამსახურში ⁷⁸	1	რუსეთის ფედერაციის შრომის კოდექსის 153-ე მუხლი ⁷⁹	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	შენიშვნა კოლეგიამ მხედველობაში მიიღო მოსამართლის დადებითი პიროვნული მახასიათებლები, სამუშაო სტაჟი, სამუშაო მაჩვენებლები, დისციპლინური გადაცდომის ხასიათი და სიმძიმე, გადაცდომის მცირე მნიშვნელობა ასევე ის გარემოება, რომ არ არსებობდა საკმარისი საფუძველი მისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ
25	ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგია	2014 წლის 30 მაისი	ჩელიაბინსკის ოლქის უისკის რაიონის მაგისტრი მოსამართლე	ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სამოქალაქო სისხლი ადმინისტრაციული	მოსამართლის მიერ განხილულ 45 სამოქალაქო საქმეში არ იდო სხდომის ოქმი, საქმე არ იყო დანომრილი და შეკერილი, ზოგიერთ სხდომის ოქმზე არ იყო მოსამართლის ხელმოწერა; სხდომის ოქმი არ იდო 22 სისხლის სამართლის საქმეში; მოსამართლემ უსაფუძვლოდ გააქიანურა სისხლის სამართლის საქმის განხილვა ⁸⁰ 12 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დარღვეული იყო აღსასრულელად მიქცევის ვადები; 3 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე სააპელაციო ინსტანციაში გაიგზავნა ვადის დარღვევით	100 ზე მეტი სამოქალაქო; 15 - ადმინისტრაციული; 22 - სისხლი	რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	შენიშვნა კოლეგიამ მხედველობაში მიიღო მოსამართლის მუშაობის დადებითი მაჩვენებლები, მისი დახასიათება, მოსამართლის დამოკიდებულება ჩადენილი დარღვევების მიმართ, ასევე ის გარემოება, რომ არ არსებობდა საკმარისი საფუძველი მისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

⁷¹ მოსამართლემ სამი თვის განმავლობაში განხილული 145 სამოქალაქო საქმე კანცელარიას ჩააბარა გადაწყვეტილების გამოტანიდან 3 თვის შემდეგ, ხოლო ერთი საქმე მათ შორის - თითქმის 1 წლის დაგვიანებით;

⁷² რამაც ზიანი მიაყენა პროცესში მონაწილე მხარის კანონიერ ინტერესებს, დაირღვა სააპელაციო გასაჩივრების ვადა;

⁷³ საქმე კანცელარიას უნდა ჩაბარდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

⁷⁴ მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანის 5 დღიანი ვადა;

⁷⁵ რუსეთის ფედერაციის კანონი ”მოსამართლის სტატუსის შესახებ”, 12.1 მუხლის 3-ე ნაწილი (2013 წლის 02.07. -ის ცვლილება);

⁷⁶ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლით დადგენილია მოტივირებული გადაწყვეტილების ვადა - არაუგვიანეს 5 დღისა;

⁷⁷ საქმისა და საჩივრების სააპელაციო სასამართლოში გაგზავნის ვადები, სასამართლო სხდომის ოქმზე შემოსული საჩივრების განხილვის წესი;

⁷⁸ მოსამართლემ წერილობითი განცხადებით მიმართა თავმჯდომარეს სამი დღით განთავისუფლების თაობაზე. მიუხედავად უარისა, მოსამართლე სამსახურში არ გამოცხადდა სამი დღის მანძილზე, რითაც შეფერხდა სასამართლოს საქმიანობა და ზიანი მიადგა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს;

⁷⁹ დამსაქმებლისათვის ინფორმაციის მიწოდება სამუშაო დღეების გაცდენასთან დაკავშირებით;

⁸⁰ ერთ საქმეზე სხდომა გადადო 11 (თერთმეტი) ჯერ, მოსამართლე საქმეს იხილავდა ხუთ თვეზე მეტი დროის მანძილზე;

26	ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგია	2013 წლის 31 მაისი	ჩელიაბინსკის ოლქის ქ. კარტალის რაიონის მაგისტრი მოსამართლე	ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	ადმინისტრაციული სისხლი სამოქალაქო	<p>მოსამართლე იჩენდა დაუდევრობას სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, არღვევდა საპროცესო კანონმდებლობის, სასამართლოში საქმეთა წარმოების ინსტრუქციის მოთხოვნებს, რამაც გამოიწვია მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღავანა, მოსამართლეებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება;</p> <p>მოსამართლემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე გაუშვა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის ვადები⁸¹</p> <p>მოსამართლე კანონიერ მალაში შესულ გადაწყვეტილებებს არ უზღავნიდა თანამდებობის პირებს, არ აზარებდა კანცელარიას;</p> <p>169 ადმინისტრაციულ საქმეში არ იდო განჩინებები სხდომის ჩანიშვნისა და სხდომის გადადების შესახებ;</p> <p>8 ადმინისტრაციულ საქმეს არ ჰქონდა მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი;</p> <p>28 სისხლის სამართლის საქმეზე: ზოგიერთ მათგანში არ იდო სხდომის ოქმი, არ იდო განაჩენი, სხდომის ოქმებზე არ იყო მოსამართლის ხელმოწერა, არ იდო განჩინებები სხდომის ჩანიშვნისა და გადადების შესახებ;</p> <p>23 სამოქალაქო საქმეში არ იდო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, არ იდო სხდომის ოქმები</p> <p>საქმეებზე გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებები არ შეიცავს სარეზოლუციო ნაწილს, საქმეში არ დევს მოპასუხე მხარეთა ხელწერილები სხდომის ჩატარების თარიღის შეტყობინების შესახებ;</p> <p>ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეში არ იდო გადაწყვეტილება⁸²</p>	200-ზე მეტი - ადმინისტრაციული 28 - სისხლი 23 - სამოქალაქო	კანონის ნორმები გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული	"მოსამართლის სტატუსის შესახებ" კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა ⁸³	<p>მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა⁸⁴</p> <p>კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ჩადენილი ქმედების სიმძიმე და ხასიათი, დისციპლინური გადაცდომის ნეგატიური შედეგები: სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის რეპუტაციის შელახვა, ასევე, ის გარემოება, რომ მოსამართლეს არანაირი ინიციატივა არ გამოუჩენია თავად აღმოეფხვრა დაშვებული დარღვევები, მოსამართლის უარყოფითი დახასიათება</p>
27	ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგია	2013 წლის 25 იანვარი	ჩელიაბინსკის ოლქის სავეტსკის რაიონის მოსამართლე	ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სამოქალაქო	<p>უხეში დაუდევრობა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების ვადების დარღვევა, მოტივირებული გადაწყვეტილებების გამოტანა ვადის დარღვევით;</p> <p>37 სამოქალაქო საქმეში არ დევს გადაწყვეტილება 13 საქმეში არ დევს განჩინება, 19 საქმეში არ დევს სხდომის ოქმი; 12 საქმეში - სხდომის ოქმზე არ არის მოსამართლის ხელმოწერა;</p> <p>დამთავრებული საქმეები კანცელარიას ბარდებოდა ვადის დარღვევით;</p> <p>მოსამართლემ ნაცვლად იმისა, რომ აღმოეფხვრა საქმეში არსებული ხარვეზები, აიღო შვებულება და დასასვენებლად წავიდა საზღვარგარეთ;</p>	100-ზე მეტი	კანონის ნორმები გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული	"მოსამართლის სტატუსის შესახებ" კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	<p>გაფრთხილება</p> <p>კოლეგიამ მხედველობაში მიიღო დისციპლინური გადაცდომის ხასიათი და სიმძიმე, დამდგარი შედეგი, მოსამართლის დახასიათება, მისი დამოკიდებულება ჩადენილი გადაცდომის მიმართ, ასევე, ის გარემოება, რომ არ არსებობდა საკმარისი საფუძველი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ</p>
28	მოსკოვის ოლქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2011 წლის 25 თებერვალი	შჩელკოვსკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	მოსკოვის ოლქის მოსამართლეთა საბჭოს მიმართვა	--	<p>ავტოსაგზაო შემთხვევისას, რასაც შედეგად მოჰყვა მძღოლისა და მგზავრის გარდაცვალება, ასევე, ორი მოქალაქის სხეულის დაზიანება, ერთერთ ა/მანქანას მართავდა მოსამართლე, რომელიც არ დაემორჩილა სამართალდამცველების მოთხოვნას და არ გაიარა ალკოტესტი, რის შემდეგაც მოსამართლე გაუჩინარდა ნარკოლოგიური დისპანსერიდან⁸⁵</p>	1	"მოსამართლის სტატუსის შესახებ" რუსეთის ფედერაციის კანონის 1,2 და 3-ე მუხლები ეთიკის კოდექსის 1,3,8-ე მუხლები ⁸⁶	"მოსამართლის სტატუსის შესახებ" კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	<p>მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა⁸⁷</p> <p>კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მოსამართლეს წარსულში უკვე ჰქონდა დაკისრებული დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილება - სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევისათვის, ასევე, მოსამართლემ თავისი ქმედებით ზიანი მიაყენა მოსამართლის რეპუტაციას</p>

⁸¹ 19 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე;

⁸² აღნიშნულ საქმეზე იყო მოსამართლის მინაწერი: " არ ვიცი რა გავაკეთო"... მოსამართლეს კონსულტაციისთვის კოლეგებისთვის არ მიუმართავს;

⁸³ მოსამართლე ვალდებულია დაიცვას რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, ფედერალური კონსტიტუციური და ფედერალური კანონები, თავიდან აირიდოს ყოველივე, რაც ჩრდილს აყენებს სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლის ავტორიტეტს;

⁸⁴ <http://che.vkks.ru/publication/14686/>

⁸⁵ მოსამართლე ამტკიცებდა, რომ ის ა/მანქანას მართავდა ფხიზელ მდგომარეობაში, ხოლო ალკოტესტის ჩაბარებაზე უარი განაცხადა იმიტომ, რომ თავს გრძობდა შეუძლოდ; ამასთან ერთად, მოსამართლემ განცხადებით მიმართა საკვალიფიკაციო კოლეგიას გადაცდომის შესახებ; კოლეგიის სხდომაზე დაიკითხნენ საგზაო უსაფრთხოების სამსახურის ინსპექტორები, რომელთაც წარმოადგინეს სათანადო აუდიოჩანაწერები და მისცეს განმარტებები მოსამართლის განმარტების საწინააღმდეგოდ; მოცემულ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე;

⁸⁶ ნებისმიერ სიტუაციაში მოსამართლე ვალდებულია დაიცვას თავისი ღირსება და პატიოსნება, გაუფრთხილდეს სასამართლოს ავტორიტეტს;

⁸⁷ აღნიშნული გადაწყვეტილება მალაში იქნა დატოვილი რუსეთის ფედერაციის სადისციპლინო სასამართლოს მიერ; <http://mos.vkks.ru/publication/6384/>

29	მოსკოვის ოლქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2010 წლის 17 ივნისი	ისტრინსკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	მოსკოვის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სამოქალაქო	მოსამართლემ სარჩელის უზრუნველყოფის სახით ყადაღის გამოყენებისას უხეზად დაარღვია საპროცესო კანონმდებლობა ⁸⁸ მოსამართლემ 689 სამოქალაქო საქმე განიხილა საპროცესო ვადების დარღვევით ⁸⁹ მოსამართლემ დაარღვია სასამართლო განსჯადობის წესი ⁹⁰	700-მდე ეპიზოდი	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” რუსეთის ფედერაციის კანონის 3-ე მუხლი ეთიკის კოდექსის 3,4-ე მუხლები რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 139, 146-ე მუხლები, ⁹¹ რუსეთის კონსტიტუციის 19-ე მუხლის 1 ნაწილი და 123-ე მუხლის 3-ე ნაწილი ⁹²	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ⁹³ კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მოსამართლემ თავისი ქმედებით უხეზად დაარღვია მრავალპირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, რაც ექვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში და ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს
30	მოსკოვის ოლქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია	2009 წლის 13 ნოემბერი	ხიმენსკის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	მოსკოვის ოლქის მოსამართლეთა საბჭოს და ხიმენსკის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინება	სამოქალაქო	მოსამართლემ სხდომა ჩაატარა მოსამართლის მანტიის გარეშე ⁹⁴ მოსამართლემ უარი თქვა აცილების შესახებ შუამდგომლობის განხილვაზე ⁹⁵ მოსამართლემ 37 დამთავრებული საქმე კანცელარიას გადასცა ვადის დარღვევით; 27 სამოქალაქო საქმეში არ იყო ცნობები პროცესის მონაწილე მხარეთა სხდომაზე გამოძახების შესახებ; მოსამართლემ სარჩელის უმომრად დატოვების შესახებ არ შეატყობინა მოსარჩელეს; ⁹⁶ მოსამართლემ 117 საქმე კანცელარიას ჩააბარა ერთი თვის დაგვიანებით;	200-მდე ეპიზოდი	რაიონულ სასამართლოში საქმეთა წარმოების შესახებ ინსტრუქციის 7.9 პუნქტი ფედერალურ კონსტიტუციური კანონის ”სასამართლო სისტემის შესახებ” 34-ე მუხლის 2-ე ნაწილი და ”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონის 21-ე მუხლის 2-ე ნაწილი ⁹⁷ ”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონის 3-ე მუხლი ეთიკის კოდექსის 1,4,5-ე მუხლები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის 3-ე ნაწილი ⁹⁸	”მოსამართლის სტატუსის შესახებ” კანონისა და მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დებულებათა დარღვევა	მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ⁹⁹ (კოლეგიამ მხედველობაში მიიღო დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე, ხასიათი და დამდგარი ნეგატიური შედეგები, რაც მიუთითებს მოსამართლის მიერ თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე, სასამართლო აპარატის თანამშრომლებისადმი არასათანადო კონტროლი, საქმისწარმოების შესახებ ინსტრუქციის დარღვევა, ასევე, ის გარემოება, რომ მოსამართლემ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა)
